№ 190 11 სეკტემბერი, შაბათი. 1866—1882 11 სეკტემბერი, შაბათი. № 190.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ... ... ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ძმების) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

... სტრიქონზე 1 კაპ. ... 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს ... 

განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ოთხის თვის ხელის-მოწერა.

პირველის სეკტემბრიდამ ამ 1882 წლის დამლევამდინ

## „დროება"

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

# ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 9 ენკენისთვეს. „მმართებლობის მოამბე" გვაცნობებს: მათი უდიდებულესობანი მშვიდობით ჩაბრძანდნენ მოსკოვში. გადებულის ეკიპაჟით წაბრძანდნენ ივერიის ღვთისმშობლის ეკკლესიაში, შემდეგ კრემლის სასახლეში. აღტაცებულის მილოცვით ხალხისა. მეორე საათ. ნახევ. სასახლიდამ მიბრძანდნენ მიმინების ტაძარში და აქედამ ჩუდოვის მონასტერში.

„გოლოსის" სიტყვით, 11 ენკენისთვეს მათნი უდიდებულესობანი დახედავენ გამოფენას; ამ დღეს საზოგადოებას აღეკრძალებათ გამოფენაზედ ...ვლა.

...ანინის შვილის გამლახველს გასამართლებას სასამართლომ სამი თვით ... ...ლო.

სამხედრო სამინისტროში შესდგა ...სია, რომელიც იკვლევს, თუ ომიანობის დროს რამდენი ქინაქინა იხარჯა, ღირებულ ფასზედ მეტი დასჯდა 250,000 მანეთით.

„...ოვოე ვრემია"-ში იწერებიან, ... მათის უდიდებულესობის მოსვლის ... მოსკოვში აღტაცებულნი არიან. ... ქალაქის თავი დახვდა უდიდებულესობას უთხრა სიტყვა და მიართვა ...ურ-მარილი. ხელმწიფემ წარმოსთქვა, მოსკოვის ნახვა მას მუდამ ... და მადლობა გამოაცხადა ...ულით შეხვედრისთვის. საზოგადოება მხიარულებაა.

პეტერბურღის ბირჟა, 9 სეკტემბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 95— | „ |
| ...ორესი— — — — | 91— | 25 |
| ...მესამე— — — — | 91— | 5 |
| ...ოთხესი — — — | 90— | 25½ |
| ...ხუთესი — — — | 90— | 5 |
| ...მოსავლეთის პირვ.— | 89— | 87½ |
| ...მოსავლეთის მეორე | 90— | „ |
| ...მოსავლეთის მესამე | 90— | „ |
| ...ოლ, ½ იმპერიალი | 8— | 7½ |

| შინაგანის 5% სესხის ბილეთები: | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — | — 214—50 | |
| მეორე სესხის — | — 208— „ | |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—25 | პენსი |
| ჰამბურღი — | 206—37 | ცენტი |
| პარიჟი — | — 253—75 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## საუკუნო სახსენებელი

ტფილისი, 10 ენკენისთვეს.

დღეს ოთხმოც-და-შვიდი წელიწადი სრულდება აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლის და ტფილისის დაქცევის დღიდამ 1796 წელსა.

მოხუცი მეფე ერეკლე სამი ათასის კაცით გასული კრწანისის მინდორში უცდის სამოც-და-ათი-ათასს ჯარს ყეენის. აი გრგვინავს და დედა-მიწა თრთის ამის მნახველი: რაც ქვეყანა ქვეყნად არის, ამისთანა ბრძოლას არ მოსწრებია!

ქართლ-კახეთით და იმერეთით აქ შეყრილან გმირები, შეფიცებულან:

თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა განვსდევნეთ მტრის ძალი,
იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან შინა წავიდეს ცოცხალი.
და გადიწყვიტეს პირჯვარი... გაჟ-გაცებრ ხმალი იშიშვლეს...
და შავარდენებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა სიმრავლეს!
შესძრეს... გაჰფანტეს... მაგრამა... ზედ თავიც თვისი დააკლეს!...

ფიცი ვაჟ-კაცთა წმიდა არს!...

გაიმარჯვეს სპარსთა, შემოვიდნენ ტფილისს, დასწვეს, აანაცრეს, მაგრამ დათხეულმა სისხლმა გადაარჩინა ქართველობა სპარსეთის მონობას.

ტფილისი დაიქცა, საქართველო შეირყა, მაგრამ ქართველობა გადარჩა და გადმოაბიჯა მეცხრამეტე საუკუნესა. . . . . . . . . . . . .
. . . . . . . .

ძნელი შეუდარებელი ბრძოლა გამოიარეს; ჩვენ ვერც კი ვიგრძნობთ იმ დროს ვაჟ-კაცთა სულის ტანჯვას და მეფე ერეკლეს ფიქრებსა.

მას აღარ ვფიქრობთ—იმ გმირს მაშინ რა ცეცხლი სწვავდა,
სამშობლო ქვეყნის აღდგინება თუ აღარ სწამდა...

ჩვენ არც წარსულის ღვაწლის გაგება გვინდა და არც შეგვიძლია. დღეს უმრავლესნი „ვერასა ვხედავთ, ბნელი გვაქვს თვალი".

ოღონდ კი ჩვენთვის მზე ნათობდეს და ცაში ნუ ჰქუხს,
რა გვენაღვლება, რაც რომ მოხდა.......

ოღონდაც ჩვენს გვამს ცხოვრების კმაყოფილება ჰქონდეს და სულიერს მოთხოვნილებას, რას დაეძებთ.

და სად დასთხიეს გმირთ სისხლი აწ ვმზერთ სიამით ბალთ მწვანეთ,
მუნით მოისმის ლხინის ხმა გულ უზრუნველთა მოლხენეთ:
და მას წმიდასა ალაგსა, თაყვან-საცემსა ღირსებით,
გლახ-უმეცრება ფეხ-ქვეშე სთრგუნავს გულითა უგრძნობით!

ძალიან ცხადია, რომ ჩვენ გაქვავებულ და გარყვნილ გულს არ შეუძლია მაღალის ღვაწლის დაფასება.

ოთხმოც-და-შვიდმა წელიწადმა გაიარა და მოღვაწეთა მოსახსენებლად აქამომდე არა გაკეთებულა-რა.

და ყამთ მოწამე სადამე მეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!

მაგრამ ნუ თუ დრო არ არის ამაზე ვიფიქროთ. აი ამ ორიოდ კვირის წინად იტალიელებმა ყირიმში რუსებთან დახოცილ თავის შვილებს სახსოვარი აუგეს. რუსებმა ბოლგარიაში ომის მეორე, თუ მესამე წელს ძეგლი დასდგეს. და ან რომელი ხალხი ივიწყებს შვილების ღვაწლსა? ყოველი ხალხი და ყოველი მთავრობა ამ საქმეს პატივსა სცემს და მოპირდაპირის ქვეყანაშიაც კი პატივსა სცემენ და ნებას აძლევენ ძველს მტერს ძეგლის დადგმას.

განა ჩვენში აღარ მოიპოვება ეს პატიოსანი გრძნობა?

შუა ტფილისში დღევანდლამდე ცარიელია ძველი ნარიყალის ციხე; იქ ეკკლესია იყო და იმასთან ბევრნი დაიხოცნენ, ეკკლესიაც მტრებმა დაანგრიეს.

სწორედ ამ ენკენისთვის რიცხვებში თოთხმეტს ჯვართ-ამაღლების დღეა. ჯვარ-პატიოსნის სახელზე საქართველოში ეკკლესია ბევრგან არის აგებული ტფილისს გარდა. ტფილისის დაქცევის და ქართველ ვაჟკაცობის ასს წლის შესრულებას ცამეტი წელიწადი უკლია; იმათ საუკუნოდ მოსახსენებლად ამ ცამეტ წელში შეიძლება ნელ-ნელა აგებულ-იქმნას ჯვარის-პატიოსნის სახელობაზე მართებული ეკკლესია.

ეს იქნება ძეგლი ქრისტიანობის გამარჯვებისა აზიაზე, ქართველობის მისთვის თავ დადებულობისა, . . .
. . . . . .

ჩემის აზრით ტფილისის ქალაქი ვალდებულია, მიიღოს ამის მეთაურობა, რადგანაც თვით ტფილისის მოქალაქეთაგან ბევრმა შესწირა თავი და ქართველობამ უნდა მიიღოს სრული მონაწილეობა. თუ როგორმე ქალაქის მმართველობამ ამ საქმეზე უარი ჰყოს, სხვა ღონის-ძიება უნდა მოიძებნოს.

ანჩხატელი.

---

„წერა-კითხვის საზოგადოებას" მიუღია ამ დღეებში ქართლიდამ გორის მომრიგებელ-შუამავლის, ი. ერისთავის მიერ რამდენიმე სოფლის საერთო გარდაწყვეტილება, რომლითაც ეს სოფლები იდებენ ვალად ყოველწლივ გარდაიხადონ საჭირო ფული სახელმწიფო ხარჯთან ერთად სკოლის დასაარსებლად ს. ხელთუბანში. ეს გარდაწყვეტილება, როგორც გვატყობინებენ, წარედგინება ბ. გუბერნატორს დასამტკიცებლად გარდაწყვეტილების იმ მუხლისა, რომელიც შეეხება სასკოლო ფულის გარდაცემას ხაზინიდამ წერა-კითხვის საზოგადოების გამგებლობაში. ამ გვარად დამტკიცებული გარდაწყვეტილება მისცემს „საზოგადოებას" შეძლებას აწარმოვოს სკოლა, როგორც ეკონომიურად, ისე პედაგოგიურის მხრითაც, რადგან ამის უფლებას მას თავისი, უმაღლესის მთავრობისგან დამტკიცებული, წესდება აძლევს. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში „საზოგადოება" დიდს დაბრკოლებას ხედავს დირექციის მხრივ. დირექცია სკოლებისა, არღვევს მის უფლებას სკოლების მოწყობილობისა და მართვის (პროგრამმის) შესახებ. იგი სთვლის საჭიროდ მიაღებინოს საზოგადოებას თავის სკოლებში ის კარგად ცნობილი პროგრამა, რომელიც იქმნა შედგენილი და გამოცემული ჩვენს სკოლებში საყოველთაოდ სახმარებლად ბ. სამასწავლებლო მზრუნველის მიერ. ამ მოსაზრებას დირექცია აფუძნებს იმ გარემოებაზედ, რომ მზრუნველის პლანი სწავლებისა უმაღლესის მთავრობისაგან დამტკიცებულიაო, თითქო საზოგადოების წესდება მისგანვე არ არის დამტკიცებული. მეორე მოსაზ-

რება, რომლის ძალითაც დირექცია ვალდებულად ხდის საზოგადოების მზრუნველის პროგრამა მიაღებინოს იმაში მდგომარეობას, რომ უმაღლესად დამტკიცებულის აზრის ძალით სახელმწიფო რჩევისა ექვემდებარება ყოველი პირველ დაწყებითი სკოლა კერძო პირისას და საზოგადოებისა სახალხო სკოლების დირექტორს: ამ მოსაზრებაზედ დამყარებული, დირექცია უფლებას არ აძლევს რომელსამე სკოლის გახსნის მოსურნე კერძო პირს და საზოგადოებას, რომ მან თავისებური სამასწავლო პლანი და პროგრამმა იხმაროს თვისგან გახსნილს სკოლაში. დირექციას ავიწყდება, რომ იმავე უმაღლესად დამტკიცებულის აზრის ძალით სახელმწიფო რჩევისა, კერძო პირს და სკოლის გამხსნელთ აქვთ უკლება, როგორც ნებავთ იმისთანა პროგრამმა და პლანი მიიღონ, ოღონდ სასწავლო საგანთ შორის უსათუოდ იყვეს რუსული ენა და სამღვთო სჯული.

ყველას ამას ვამბობთ ჩვენ იმიტომ, რომ ფრიად მავნებელად მიგვაჩნია სახალხო განათლების წარმატებისათვის. ამ საქმეზედ შემდგარს საზოგადოებასა, კერძო პირებსა და ოფიციალურს დაწესებულებათა შორის არსებობს უთანხმოება და მოკამათობა. როგორც ჩვენ გვატყობინებენ, „წერა-კითხვის საზოგადოება," მაგალითებრ, მერვე და მეცხრე თვეა, რაც შუამდგომლობს დირექციისა და მზრუნველის წინაშე ს. წინარეხში სკოლის გახსნისათვის და დღესაც მას ეს უფლება არ მისცემია. რატომ?—იმიტომ რომ ერთს თავის პროგრამას ჰსურს მისდიოს, მხოლო მეორე თავისას აძალებს. რვა თვე და ცხრა თვე მიწერ-მოწერა კანცელარიული. . . . . . . . .

## დღიური

დიდის სიხარულით ვეგებებით გუშინდელის „შრომით" მოტანილს ამბავს შესახებ მისა, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლასთან გაიხსნა პირველი პროგიმნაზიის კლასიო.

„ეჭვი არ არის, ამბობს „შრომა", რომ გაისად მეორე კლასიც უნდა გავხსნათ, შემდეგ სხვებიც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ეს ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლა გიმნაზიად გადაგვექცევა, რომელსაც, რასაკვირველია, მომეტებული ხარჯიც დასჭირდება და უფრო დიდი სადგომიც. სკოლის სადგომი არც ეხლა გვაქვს რიგიანი და მოსათავსებელი, ასე რომ პროგიმნაზიის კლასისათვის ცალკე სადგომი იქირავეს. პროგიმნაზიის მეორე კლასისათვის ჩვენ უნდა ვიქირავოთ გაისად მესამე სადგომი, რადგანაც ქუთაისში ძნელად მოიპოვება გასაქირავებელი სახლი, რომ შიგ ორი და სამი დარბაზი იყოს კლასებად გამოსადეგი. და რომ კლასების ამ გვარად დაცალკევება ერთმანეთისაგან შეუძლებელია და მავნებელი, ამაზედ ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია. მაშ ჩვენ აქედგანვე უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენის სკოლისათვის, რომელიც მოკლეს დროში პროგიმნაზიად და გიმნაზიად უნდა გადაიქცეს, საკუთარი სახლი ავაშენოთ. თავდარიგს ახლავე უნდა შევუდგეთ, თორემ ცუდი საქმე მოგვივა. სკოლის მეოთხე განყოფილებაში ეხლა ოთხმოცი ყმაწვილი სწავლობს. როცა ესენი გაისად პირველს პროგიმნაზიის კლასში გადასასვლელს ეგზამენს დაიჭერენ, ორმოცმა მათგანმა სწავლას თავი უნდა დაანებოს, რადგანაც მათთვის ოთახი არ გვექნება და, თუ ჩვენი საკუთარი სახლი არ გვექნება, იმათაც აღარ შეეძლებათ სწავლის გავრძობა, რომელნიც ეხლა პირველს პროგიმნაზიის კლასში შერიცხეს და გაისად მეორეში გადავლენ. ჩვენის აზრით საჭიროა, რომ ბანკის ზედამხედველმა კამიტეტმა ახლავე დანიშნოს საზოგადოების საგანგებო კრება, რომ მან სასწავლებლისათვის სახლის აშენება გადასწყვიტოს და მალე საქმეს შევუდგეთ".

* * *

სოფელს ბუგეულიდამ (რაჭის მაზრისა) გვწერენ, რომ ამ სოფლის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვდლის და პრიჩეტნიკის წყალობით, ეს ეკკლესია ისეთი ღარიბია, რომ სებისკვრის; ზედაშის და სანთლის შოვნა უჭირსო. მიზეზი, როგორც კორრესპონდენტი იწერება, ისა ყოფილა, რომ მღვდელს და პრიჩეტნიკს მუქთად ჩაუგდიათ (12 მან. წელიწ.) ხელში ამ ეკკლესიის მიმული, როდესაც გარეშე პირი ას მანეთს იძლეოდაო. ეს კიდევ არაფერიო, იწერება კორრესპონდენტი, ნეტა იმ თორმეტ მანეთს მაინც ახარჯიბდენ ეკკლესიასო. ამას უმატებს კიდევ, რომ მღვდლის დაუდევრობით სოფლელები ხშირად წირვა-ლოცვას ვართ მოკლებული, თუმცს მზად კი ვართ ჩვენის საშუალებით სებისკვერი, ზედაშე და სანთელი მივართვათო.

* * *

„შრომაში" ვკითხულობთ: გურიიდგან ჩვენ მოგვივიდა ცნობა, რომ სოფლების გარდაწყვეტილობა ამ ბოლოს დროს ვერ მიდის ისე ხეირიანად, როგორც წინედ. სუდის მიმართულების კაცებს დიდი გავლენა აქვთ სოფლის კრებებზედ და მართალს კაცებს უფრო ასახელებენ დასაჯელად, ვიდრე ნამდვილს ავაზაკებს, მაგალითად: ჩიბათის საზოგადოებას სულ მოხუცებულები წარმოუდგენია გადასასახლებლად და ცამეტ-თოთხმეტის წლის ბავშვები კი დრუჟინაში მისა-ცემად, ალბად იმ განზრახვით, რომ მოხუცებულებს აპატიებენ და ახალგაზდებს დრუჟინაში ყოფნა თუ მოუხდება, თორემ არაფერს აწყენსო.

ზოგიერთ სოფელში კი თავად-აზნაურებს ასახელებენ მარტო, და გლეხებს კი არა, და რადგანაც გლეხებსაგან თავად-აზნაურების დასახელება კანონიერად არ ჩასთვალა გენ. სმეკალოვმა, ამისთვის იმას გაუგზავნა ბატ. ივენოვი და თ. ვარლამ ერისთავი (როგორც თავად-აზნაურობის წინამძღოლი), რომ ამ გვარი უწესოება არ მოხდესო.

* * *

ალდაშიდან (ზანგის ოლქისა) გვწერენ, რომ აქაც ჯერ ოთხის თვის ზედიზედ უწვიმობამ და ეხლა საშინელმა წვიმებმა ილაჯი წაგვართვესო. უგ... ნაირად გადიდდა წყლები, რომ რაც ხორბალი მოგვივიდა აულაგებელი ... დევ კალოებზედ გვქონდა და სულ ერთიან წაგვართო წყალმაო. ჩვენ ხე... მოგვირბენს მდინარე ძურიაქჩაი ზემო... ჩაისაკენ მიმდინარე, რომელმაც ამ ცო... ტა ხანში მცხოვრებთათვის მიუცილებელი საჭირო ხიდი. სამი დღე ელოდ... ბიან, როგორც მოგზაურნი ისე ფო... ჩტაო, მაგრამ ჯერ-ჯერობით მეორე მხარეს გასვლის ღონისძიება ვერ უპოვნიათ-რაო. ზოგიერთ ადგილ... აგრეთვე რამოდენიმე ვერსტი რკინ... გზის რელსებისა წასილულაო.

* * *

„შრომაში" სწერია ბათუმის რკინის გზის შესახებ, რომ ყოველი კაცი, ვი... საც კი ეს გზა უნახავს და ის წეს... რომელიც ამ გზაზედ არსებობს, ძლი... ერ აღელვებულია ინჟინერებისა ... სხვა ხელმძღვანელების მოქმედებ... უკვირსთ ამასთანავე, რომ ეს ერ... მტკაველი გზა ასე გვიან კეთდ... მაშინ როდესაც მის კეთებაში ბაქ...

---

«დროების» ფელეტონი, 11 სექტემბ.

## უბედური ჯანმრთელი.

(ნათარგმნი)

— დიუკლო! საიდამ-სადაო?

ამ სიტყვებით მე გარდავეხვიე ჩემს ამხანაგს დიუკლოს, რომელიც არ მინახავს, რა რომ სკოლიდგან გამოვედი და რომელსაც ულოდნელად მოვატანე თვალი ერთ გაცარიელებულთაგან პარიჟის ბულვარზედ.

— ვერ წარმოიდგენ, ჩემო დიუკლო, როგორ მიამა შენი ნახვა!— ვუთხარი მე. ხშირად მოგიგონებდი... როგორ ატარებ დროებას?.. აბა, მოჰყევი...

— ჰე, რაღა როგორ, ძმაო, ცუდად... ძლიერ ცუდად! თითქოს ყოველისფერს ქვეყანაზედ პირობა შეუკრავს ჩემ შესაწუხებლად.

— ყოველისფერს შენი ჯანის გარდა! გავიღიმე და შევნიშნე მე.—ისეთი ჯანიანი შეხედულებისა ხარ რომ ბევრი, უეჭველია, შურით გიყურებს. შესამჩნევია შენი სიმრთელე და შეხედულება!..

— სიმრთელე!... შეხედულობა!— გაიმეორა დიუკლომ ალ-მოდებული. —შენც იმათთაგანი ხარ, რომელთაც მე ტვინი ამომართვეს ჩემის ტანადობის ყვედრებით, რომელიც ჩემი ყოველ-დღიური კრულვის საგანია!

— აი, სულელი!

— დიაღ, სულელი!— უფრო და უფრო ედებოდა ცეცხლი დიუკლოს. —სულელი! ჩემო ძმაო, როგორც ჰგავს, შენც იმათი რიცხვის ხარ, რომელნიც არ აკვირდებიან ცხოვრებას და ფიქრობენ, რომ ჯანი არის პირველი საუნჯე კაცის ბედნიერებისა!

— თუ მაგრე არა, ჯანი ერთი ბედნიერების საგანთაგანი მაინც არის! —დავუჟინე მე.

— ჯანი არის საგანი უბედურებისა, დიაღ!.. და ამას მე შენ ეხლავე ცხადად დაგიმტკიცებ. ხომ ჰხედავ, მე მსხვილი ვარ, ფართო ბეჭებით, გადაშლილს ვარდს მიმიგავს ლოყები. მე მზად ვარ ეს ყოველისფერი გავცვალო იმისთანა ცოცხალ-მკვდარ მდგომარეობაზე, როგორისაც არის ჩემი ბიძაშვილი ჟორჟი. გახსოვს ის შენ?

— ჟორჟი? როგორ არა! ის ჩვენთან იყო სკოლაში. საწყალი! დიდი ხანია მოკვდა?

— მოკვდაო? ვინ მოგახსენა?! იმას არც უფიქრნია სიკვდილი... ის კი არა მშვენიერად სცხოვრებს; სიცოცხლე მას ისე ულიმის მისი სისუსტის გამო, რომ მე ვირევი ჯავრისაგან.

— სწორედ, ვერა გამიგია!

— ახლავე აგიხსნი, ჩემო ძმაო. სულ პირველად მე და ის ეგზამენს ვიჭერდით ატესტატზე. მე შემხვდა პირველად ეგზამენის დაჭერა. რაღაც ერთი წელიწადი შეცდომით მოვიხსენე ისტორიაში. ეგზამენატორმა შემომხედა მხეცურად და გარდუჩურჩულა ერთს მის გვერდით მჯდომარე მასწავლებელს: „ერთი შეხედე, ამოტელა ვირია და ვერ დაუზეპირებია როგორც რიგია... არაფერი უჭირს მაგას, ერთი წელიწადი კიდევ ისწავლოს, აგებ მცირედ ჭკუაც დაჰყაროს".

და მე დამტოვეს ერთი წელიწადი ტყუილა-უბრალოდ უკანასკნელ კლასში.

მოვიდა დრო ჟორჟის კითხვისაც. ვერ მოასწრო კათედრასთან მისვლა, მისის მკრთალის, გამხდარის შეხედულებისაგან გაკვირვებულ მასწავლებლებმა ერთმანერთს გარდახედეს, თითქოს მონაწილეობას იღებდენ მის მდგომარეობაში, ისე უცქეროდენ, ერთმა ამათგანმა გარდახვია ხელი ... უთხრა: „— მეგობარო გამხნევდი ... დიდ ხანს არ გაგაჩერებთ... როგორც ჰგავს, მეცადინეობას უმისოდაც სრულიად გაუცვეთიხარ... აბა, ერთი სთქვი 1715 წელში არ მოკვდა ლუდოვიკ XVI?—დიაღ, სწორედ"...

ბედნიერი ჟორჟი ხუთ მინუტს შემდეგ გაუშვეს და მისცეს მშვენიერი ატესტატი.

— არა თუ...

— მოითმინე, ეს კიდევ არაფერი... მე და ის ერთად ვეძებდით ადგილს ... ერთ და იმავე დეპარტამენტში. ... ოთახში დირექტორთან მოიყარა თავი ოცამდე ადგილის მთხოვნელმა ... გარდაგვავლო ყველას თვალი ... და ბოლოს პირ-და-პირ მიუთითა ჟორჟისაკენ:

— ყმაწვილო! წამობრძანდით ... თან... თქვენ არ უნდა იყოთ ...

რკინის გზა კიდეც გააკეთეს. ამის მიზეზად იმას ამბობენ, რომ ყველა ინჟინერები თითქმის, რომელნიც ამ გზას აკეთებენ, ახლები არიანო, არაფითარი გამოცდილება მათ არსად არ მიუღიათო, ასე რომ ცოტაოდნად გაგების მქონე კაცი თვით გზაზედ შეატყობსო მათ უცოდინარობას. ამას ჩვენ უნდა დაუმატოთ, რომ თუ ამ ახალმა და ტეხნიკურს მუშაობაში ჯერ კიდევ გამოუცდელმა ინჟინერებმა და ხელმძღვანელებმა მუშებისა და ადგილობრივის მცხოვრებლების შევიწროებასა და ცილის-წამებაში ამდენი გამოქანგულობა გამოიჩინეს, რაღას უნდა მოველოდეთ მათგან შემდეგში, როცა ისინი ტეხნიკაში გამოიცდებიან!?

ჩვენ ვუპასუხებთ „შრომას“: — უნდა მოველოდეთ მეტს ცარცვას და წაგლეჯას და ამათ მოქმედებაზედ ვისგანაც ჯერ არის ყურადღების მიუქცეველობას! ეგ ხომ ახალი, უცნობი მოვლენა არ არის ჩვენ ქვეყანაში.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ახალ-სენაკი, 5 ენკენისთვე.** პირველიდან ხუთამდე ამ თვისა ახალსენაკში იყო კრება სამეგრელოს სამღვდელოთა რომელთაც, სხვათა შორის, ჰქონდათ მიცემული წინადადება: მოეძებნათ რომელიმე წყარო სასწავლებლის სახლის ასაშენებლად, რადგან ეხლა, ამ სახლის უქონლობის გამო, სასწავლებელი ძრიელ შევიწროებულია.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ეს სასწავლებელი დიდი ხანია ძრიელ შეწუხებულია მის გამო, რომ სამღვდელოება ვერ მორიგებულა ერთმანერთში, თუ სად იყოს აშენებული ეს სახლი. ამის შესახებ ექამდე შვიდი თუ რვა კრება იყო და არც ერთი არ გათავებულა, რომ დეპუტატთა შორის რამე თანხმობითი გარდაწყვეტილება დადგენილიყოს, არც ერთს კრებას არ მოუღია საჭირო ნაყოფი. ბოლოს, შარშან თუ შარშანწინ, სამღვდელოებამ დაინახა, რომ იგინი ამ ნაირად მის დღეში ვერ მორიგდებიან ერთმანერთში და შეადგინა პროტოკოლი, რომ თვითონ მთავრობამ განიხილოს და დააფუძნოს სასწავლებელი იქ, სადაც უმჯობესად დაინახავს. ადგილობრივ მთავრობამ და რევიზორმა გრეგორევსკიმ, შემდეგ სხვა-და-სხვა მიზეზების განხილვისა და რკვევისა, წარადგინეს შუწმინდესს სინოდში აზრი, რომ ყველაზე სახერხი ალაგი სასწავლებლისათვის ახალ-სენაკი უნდა იყოსო და ამისთვის სასწავლებელი, შემდეგ მარტვილში სახლის დაწვისა იქმნა გადმოტანილი ხსენებულს დაბაში. ამის შემდეგ კაცს უნდა ეფიქრებინა, რომ იმოდენა ხნის სასწავლებლის რყევას ძლივს მოელო ბოლო და ეხლა სამღვდელოება მორიგებული და შერიგებული შეუდგება საქმესაო, მაგრამ, საუბედუროდ, ეს შემცდარი გამოდგა. წარსულს მაისის კრებაზე გამოჩნდნენ ისევ რამოდენიმე პირნი, რომელთაც წინდაუხედავად აღძრეს ხელ-ახლად კითხვა სასწავლებლის ალაგ-ყოფნაზე, არიეს სამღვდელოება და გადაადებინეს სახლის ასაშენებელი წყაროების გამოძებნა მეორე კრებამდე. ყოვლად სამღვდელომ იმერეთისამ დანიშნა ეს ეხლანდელი კრება, და, რომ საქმის რყევას წინადვე მოუღოს ბოლო, მიიწერა ცირკულიარით, რომ სამღვდელოებას მხოლოდ წყაროების მოძებნაზე უნდა ჰქონდეს სჯა და არა ადგილზე სახლის ასაშენებლადაო.

სამღვდელოება შეიკრიბა 1-ს და 2-ს. ამოირჩიეს თავს-მჯდომარენი კრებისა და შეუდგნენ საქმეს, მაგრამ მის მაგიერად, რომ მოიქცნენ თანახმად ყოვლად სამღვდელოს ცირკულიარისა, გამოვიდნენ მოთაურენი სხვა-და-სხვა პარტიებისა და იწყეს უწინდელი ამბავი: ერთი ამბობს, ძველსენაკს უნდა აშენდეს სასწავლებლისთვის სახლიო, მეორე—ახალში, მესამე—ზუგდიდს, მეოთხე—მარტვილს, მეხუთე—ნაქალაქევს, ნოსირს, ცაიშს და სხვ. და სხვ. და სხვ. ამ დღეს გარდა ყვირილისა და ჩხუბისა არა გამოვიდა-რა.

2-ს საღამოს მობრძანდა ყოვლად სამღვდელო და რა გაიგო უწინდელი უსიამოვნობა და განხეთქილება მათ შორის, ძრიელ შეწუხდა და მეორეს დღეს, როდესაც დეპუტატნი შეიყარნენ სასწავლებლის ოთახში, და იწყეს მსჯელობა,—მობრძანდა და გამოუცხადა სამღვდელოებას, რომ გავიგე თქვენში უწინდელივე განხეთქილებაო. აუხსნა ის ცუდი შედეგი რომელიც მოსდევს ამ განხეთქილებას, აუხსნა რომ ამისთანა წინ დაუხედავი პარტიობა ჰღუპავს საქმეს ეს იქიდამ წარმოსდგება რომ მათ ვერ მოუხერხებიათ შეჰხედონ საქმეს და გასაჯონ, თუ ჩემ-შენობა არ გაურიეს. ბევრი ილაპარაკა, და როგორც სიტყვებიდან, ეგრეთვე დაღონებული საუბარიდან სჩანდა, რომ ის ძრიელ შეწუხებულია სამღვდელოების ამისთანა ყოფა-ქცევით, ძრიელ სწყინს და რცხვენიან—როგორც თითონ გამოსთქვა. მაგრამ როგორც კი ყოვლად-სამღვდელო წამობრძანდა სადგურში სამღვდელოებამ ისევ შეჰქმნა ერთი ალიაქოთი და აყალ-მაყალი. გამოყვეს თავი პარტიების მეთაურებმა და დაიწყეს ქადაგობა, რომ იმათ ართმევენ მსჯელობას. ერთმა წყებამ გაგზავნა ყოვლადსამღვდელოსთან, ვითომც-დეპუტაცია, რომ იმათ ერთ პირად გადასწყვიტეს სასწავლებლის სახლის ძველსენაკში აღშენება.

დეპუტაცია მივიდა ყოვლად სამღვდელოსთან და მოახსენა, რომ ჩვენ აღარა გვაქვს ერთმანერთში განხეთქილებაო, გადავწყვიტეთ ყველამ ერთ პირად ძველ-სენაკში სასწავლებლის აღშენებაო და თქვენ კიდევ ვიშუამდგომლეთ უმაღლესს მთავრობასთან შესახებ ამ საქმისაო. რა ერთ პირობაც იყო, ეს გამოჩნდება ქვემო ნაწერში. მღვდელთ-მთავარმა გამოუცხადა მათ რომ იმან, მათივე მინდობილობით, უწინვე წარადგინა თავისი აზრი ამის შესახებ; რომ სასწავლებლის ასე თრევა და გათოთხარება არ შეიძლება და უბედურებაო; რომ თუ ჰსურთ შეუძლიანთ გააკეთონ და მისცენ არზა არზის მიცემის ნება ყველას აქვს და მე არც მეწყინებაო, და თუ მკითხესო,—წარვადგენ იმავე აზრს ამ საქმის შესახებ, რაც წარმიდგენიაო.

დეპუტაცია დაბრუნდა კრებაში და შეუდგა შედგენას პრატაკოლისა და არზისა. მაგრამ, რა თქმა უნდა, როგორცა ვსთქვით, არც ეხლა გამოვიდა რამე, არც ეხლა გამოჩნდა ერთპირობა. დეპუტაცია სიცრუე ყოფილა, არზა—დამამშინებული საბუთი, მოთავეების ხერხი.

ეხლაც არა გარდასწყდა რა სასკოლო სახლის აშენებაზედ და ეს კითხვა შემდეგისათვის გადაიდვა.

დანარჩენში კრებამ შეადგინა, კადნიერი განჩინებანი, თითქო ამ სასიამოვნო განკარგულებაებით სამღვდელოებას ჰსურდა განექრწყლა ის უსიამოვნო შტაბეჭდილება, რომელსაც ახდენს იმათი სახლის აშენებაზე ნამოქმედარი...

სამღვდელოებამ დაადგინა, რომ თა-

---

გად... მე არ მინდა თქვენი გაჩერება.

ჟორჟი გაყვა მას ოთახში და იშოვა ერთად-ერთი თავისუფალი ადგილი.

— ეშმაკმა იცის, ეს რა ამბავია! — წამოვიძახე მე.

— მოიცადე... ეს კიდევ არაფერი. ერთჯერ მივდივართ მე და ის რკინის გზით. ჟორჟიმ ითხოვა რომ ფანჯარები ვაგონში ყველა დაეკეტათ, რადგანაც მას, უიმისოდაც სუსტს, ეშინოდა გაციებისა და უარესად დასუსტებისა; ყველა დათანხმდა ამ წინადადებაზე ერთი მგზავრის მეტი; ჟორჟმა გალანძღა ის კაცი; შეიქნა გვარიანი ჩხუბი, და ბოლოს საქმე დუელამდის მივიდა. საღამოს ჟორჟის სეკუნდანტები გამოცხადდნენ.—როგორ ჰფიქრობ?—პირდაპირ ჩემთან:

— შენ თვითონ კარგად იცი, ჟორჟი რა სუსტია! — მეუბნებიან მე. ის დაეცემა პირველ შემოკვრაზევე... შენ უნდა გახვიდე მისს მაგიერ... ამას თხოულობს თვით პატიოსნებაც.

მე ვეჩხუბე და ბიძაშვილის მაგიერად ხრმლის წვერი მერგო გვერდებში.

— მა კი არაფერი ხუმრობაა!

— ოჰო ეხლა შენც გამიხდი თანამოაზრეთ. მაშ დამიგდე ყური კიდევ: მე და ჟორჟს შეგვიყვარდა ერთი ლამაზი ქალი... ის ეკუთვნოდა მაღალ საზოგადოებას და, სწორედ უნდა გამოვტყდე, განხორციელებული ანგელოსი იყო. ჩვენ ორივე ერთად ვეარშიყებოდით მას და ბოლოს გარდავწყვიტეთ, მივვენდო თითონ ქალისათვის ამოერჩია ჩვენ შორის საქმარო! რა გგონია! ერთ მშვენიერ დღეს მისმა მამამ მიმიხმო ოთახში და დამიწყო ლაპარაკი ათრთოლებულის ხმით:—„ჩემო მეგობარო, მე დავაკვირდი ჩემი ქალის გულის ფეთქას და მივხვდი, რომ თქვენ ბედი არ გიღიმის; თქვენც კარგად იცით, რომ ახალ-გაზდა ქალები თანაუგრძნობენ ყოველისაფერს რომანტიკულს... დამერწმუნეთ, რომ თქვენი სიმსხვილე და თქვენი გაჟინჟღილებული პირისსახე არაფელი მოსაწონია იმ ბნედიანებისათვის, რომელთაც შეყვარებულები წარმოდგენილი ჰყავთ ნაზი, მკრთალი და შეწუხებული სახით... ჩემს ქალს უყვარს თქვენი ბიძაშვილი; უნდა რომ გახდეს მისა... თქვენ, რასაკვირველია, არ შეგშურდებათ; თქვენ კიდევაც უნდა გიამოსთ, რომ ბედმა ჩემი ქალით დაასაჩუქრა თქვენი ამხანაგი თითქოს მისი ბუნებითი სისუსტის მაგიერ.

ერთი თვის შემდეგ ჟორჟი დაქორწილდა.

მე კი ჯერაც კიდევ უცოლო ვარ.

დასასრულ, ჩვენ ორივე ვიღებთ მონაწილეობას მწერლობაში. წარმოიდგინეთ: კრიტიკოსებს ეშინიანთ, ბოლო მოუღონ, უმისოდაც ბოლომოღებულს ჯან-მრთელობას მიღწევებულ მწერლისას; მე კი ყოველის მხრივ მაყრიან სიცილს! ხან ჩემს თხუზულებებს დასცინიან და ხან ჩემს პირადობასაც შეეხებიან:.. „ის ყოველიფერს გარდიტანს ჯან-მრთელიაო!. ერთი სიტყვით ყოველგან და ყოველთვის ბედი ჟორჟისკენ არის. სადილზე მას პირველი ნაჭერ ხორცს ურჩევენ; ზამთარში მაგისათვის მზად არის ბუხართან უკეთესი საჯდომი ადგილი!.. ეხლა შენ მოდიხარ და მილოცავ ჯან-მრთელობას!

— არა, მე არ ვიცოდი... მავრამ, ყოველ შემთხვევაში შენ გაქვს კიდევ ერთი ნუგეში: შენ უეჭველად ჟორჟზე მეტს იცოცხლებ.

— რომ არც ეგაა ევრე!.. გუშინწინ ექიმმა მითხრა მე: „ერიდეთ... მისთანა საწყალ არსებას, როგორიც არის თქვენი ბიძაშვილი, შეუძლია ასი წელიწადი იწრიპინოს ქვეყანაზე და თქვენისთანა სავსე კაცს კი უნდა ეშინოდეს სისხლის მორევის“.

ეხლა შენ გაარჩიე! უნდა გავჯავრდე მე თუ არა, როდესაც მელაპარაკებიან ჩემს სიმრთელეზე?... მშვიდობით...მშვიდობით, ძმაო...მევგრძნობ... სისხლი ავიდა თავში... და ექიმის სიტყვები კიდევ მესმის ყურებში...

დიუკლო მსწრაფლად მობრუნდა და მე დამტოვა ღრმა ფიქრში:

— ნუ თუ მართლა ბუნებითი ნაკლულოვანება შეადგენს ერთად ერთ წყაროს მიწიერი ბედნიერებისა.

ეიანთ ხარჯიდან და საერო შეგირდების შემოტანილი ფულიდან წელიწადში 400 მ. მიეცეს ობოლ-ღარიბ შეგირდებს თავის სარჩენად, რადგან სასწავლებელს არა აქვს პანსიონი; დაადგინა მოუმატოს ჯამაგირი საშუალო განათლება მიღებულ მასწავლებლებს, რადგან იმათ ერთობ ცოტა ჯამაგირი აქვთ; დაადგინა, ძრიელ კარგი საპედაგოგიო განკარგულება, რომ, რადგან იგინი თავიანთ საკუთრებიდან უმატებენ მასწავლებლებს ჯამაგირს ამისთვის იყვნენ დავალდებულნი, რომ მიიღონ შეგირდებზე განსაკუთრებითი ყურადღება გაკვეთილების შემდეგ, **სახლში**, რისაც იგინი მოვალენი არ არიან და რაც ძრიელ საჭიროა, რადგან ერთი ყურის მგდებელი 450 შეგირდს, რომელნიც არიან გაფანტულნი სხვა-და-სხვა კუთხეში, ვერ აზდის. დაბოლოს კრებამ დაადგინა მადლობა განეცხადოს ამ სასწავლებლის ზედამხედველს.

შემთხვევით მაყურებელი.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

პირველ სკრიპკაზე დამკვრელი
ტფილისის რუსული ოპერისა
ვ. ზ სალინი
აძლევს გაკვეთილებს სკრიპკაზე. მისი ნახვა შეიძლება 5 საათიდამ 7 საათამდე სალამოისა. გოლოვინის პროსპექტზე ტრეგულოვის სახლში № 1 ეზოში. იქვე ისყიდება სკრიპკა რუდჟერის ხელობისა 500 მანეთად. (3—1)

ღირსეულს და განათლებულს
ოჯახში მიიღებენ ქალებს საქალებო სასწავლებლებში მოსამზადებლად.
პირობების შეტყობა შეიძლება გორში, ბატ. დირექტორ სემენოვის ოჯახში. (10—2)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
## ეროვბა
თხზ. ნ. ნიკოლაძისა
გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი 15 კაპ.

10 სეკტემბრიდამ ქ. ქუთაისში, იოსებ მურადოვის წიგნის მაღაზიაში გაიყიდება ქართული
## დედანი (პროპისი)
შედგენილი და გამოცემული ვ. დ. ბაბიჩევაძისაგან. ფასი 12 კაპ. (3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
დედა და შვილი
და
რამდენიმე ლექსი
თ. ილია ჭავჭავაძისა.
ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული
ფასი 15 კაპ.

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: პაპიროსი 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—100)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
თამარ დედოფალი
შედგენილი
კ. ბ—შვილისაგან
გამოცემა
ზაქ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ერთი აბაზი.

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:
წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
## სახსოვარი
ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.
შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი
## მოთხრობანი
წიგნი მეორე.
იყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).
ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.
გორში: მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი
მწყემსის სტვირი
ლექსები, სიმღერები და ზღაპრები
ცნობის-მოყვარე ყრმათათვის
სკოლაში და შინ საკითხავად
აღაიანცისა
გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.
ფასი ერთი აბაზი
(10—10)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
მამულის
საერთო მფლობელობაზე
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში
იგავ-არაკნი
კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

ისყიდება
თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.
**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**
**сост. Д. П. Пурцеладзе.**
ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.
ფასი ერთი მანეთი


## ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დასტარებით 1 სეკტემბრიდამ 1 ოკტომბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |


გამოვიდა ცალკე წიგნად
დრამა
# სამშობლო!
ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.
ფასი 60 კაპ. (20—20)

მაქვს პატივი გამოვუცხადო საზოგადოებას, რომ
# მოვიყვანე ბაქოდგან ნავთი,
რომელსაც გავყიდი არა ნაკლებ ერთის ბოჩკისა. კანტორა იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე № 42, ჩემს საკუთარს სახლში. აგრეთვე მყიდველთ შეუძლიანთ მიმართონ დვორცოვის ქუჩაზედ შტაბის პირდაპირ მერაბოვის მაღაზიაში. ფასი იქმნება ყველასთვის ერთ ნაირი. გასყიდვა იწყობა დილის 8 საათზედ პირველ საათამდე. პირველს სეკტემბრიდამ მექნება სკლადები: აღდაშას, ელისავეტოპოლში, აქსტაფაში, მიხაილოვკას, ქუთაისს და ფოთს.
(10—9) გიორგი დავითის-ძე ქართველოვი.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Сентября 1882 г.* **Типографія Меликова** გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.